

# სპარტაკიადა გაიხსნა



გუშინწინ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებულ ტანვარჯიშულ სკოლაში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მოსწავლეთა XXVI სპარტაკიადა.

დარბაზში შეიკრიბნენ სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების მონაწილენი. მათ სიტყვით მიმართა რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

ასპარეზობის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დასასრულს ნორჩმა სპორტსმენებმა საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს.

* * *

სურათზე: თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის აღსაზრდელთა ჯგუფური ვარჯიში.

შ. ზარგარიანის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 105 (5135)

1974 წ. 29 მაისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


# ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისთვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დააწესა საპატიო ნიშანი „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისთვის“.

საპატიო ნიშნით დასაჯილდოებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს, ცენტრალურ და რესპუბლიკურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს. პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს.

საპატიო ნიშნით დაჯილდოვდებიან როგორც ცალკეული პირები, ისე კოლექტივები, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სსრ კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პოპულარიზაციაში, საბჭოთა სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში.

ახალი ჯილდო ხუთწახნაგა სამკერდე ნიშანია. ცენტრიდან მიემართება ასიმეტრიულად განლაგებული დაწახნაგებული ოქროს სხივები. ცენტრში დამაგრებულია ჩირაღდნის რელიეფური გამოსახულება დედამიწის სფეროს ფონზე, რომელსაც გარს ერტყმის სტადიონის სარბენი ბილიკი ნამგლითა და უროთი. ნიშანი შესრულებულია ოქსიდირებული და მოოქრული ვერცხლისგან. ნიშანი დამაგრებულია კალაპოტზე, რომელსაც გადაკრული აქვს წითელი მუარის ლენტი. საპატიო ნიშნის ავტორია მხატვარი ბ. სტარისი.

საპატიო ნიშნით დაჯილდოება მოხდება ყოველწლიურად ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.



სურათზე: საპატიო ნიშანი „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისთვის“.

საქდესის ფოტოქრონიკა.

## თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიმართვა

## საქართველოს სპორტსმენებისადმი

# ვიყოთ მოწინავენი სწავლაში, შრომაში, სპორტში!

ფიზიკური სრულყოფისკენ სწრაფვა უძველესი დროიდანაა ფესვგამდგარი ქართველ ხალხში. საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემა განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ერის ნებისყოფის, მისი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების ამოუწურავი მარაგის შექმნაში.

დღეს ყველასთვის ცნობილია ის დიდი სარგებლობა, რომელიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მოაქვს ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ზრუნვასა და ყურადღებას იჩენენ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი განვითარებისთვის. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებისა და აქტივების გადაწყვეტილებებმა უდიდესი დადებითი გარდაქმნები მოახდინა ყველა სფეროში, მათ შორის სპორტშიც. ამ დადგენილებებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ყველა დარგის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლება.

ჩვენ, საქართველოს სპორტსმენები, ვალში ვართ პარტიისა და მთავრობის წინაშე, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრი შეცდომა გვაქვს სპორტულ მოღვაწეობაში. გვამოძრავებს რა ის დიდი ვალი და შეგნება, რომ საჭიროა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვასა და ყურადღებას ვუპასუხოთ მაღალი სპორტული მიღწევებით, გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები, საქართველოს ყველა სპორტსმენს მივმართავთ მოწოდებით, რომ ვიყოთ სანიმუშონი სწავლაში, შრომასა და სპორტში. ამ მიზნით ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებს:

ავამაღლოთ საყოფაცხოვრებო და სპორტული დისციპლინა, სპორტული მოღვაწეობის მანძილზე არ გვქონდეს რეჟიმის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, ვიყოთ ყველაზე კორექტულნი, დავიმსახუროთ მსაჯთა სიმპათია, არ ჩავიდინოთ საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელი;

სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, არ გავაცდინოთ არც ერთი ვარჯიში, ვიყოთ მომთხოვნი საკუთარი თავისა და კოლეგების მიმართ;

სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლები მთელი ძალითა და ენერგიით ვემზადოთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებსა და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში, რომელიც ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ხალხთა გამარჯვების 30 წლისთავს, ღირსეულად დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დიდება;

გავკიცხოთ და დავსაჯოთ საყოფაცხოვრებო და სპორტული რეჟიმის დამრღვევნი, არ დავინდოთ უღირსნი, რომლებიც თავიანთი უტაქტო მოქმედებით არცხვენენ საბჭოთა სპორტსმენის საპატიო სახელს;

ავამაღლოთ კომუნისტებისა და კომკავშირელთა როლი რესპუბლიკის ნაკრებ და საკლუბო გუნდებში, გავაძლიეროთ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, გავშალოთ ფართო საქმიანობა სპორტის პროპაგანდისთვის მოსახლეობის ფართო ფენებში, დავეხმაროთ მათ მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში;

აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიაში, ერთსულოვნად მივცეთ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის თითოეული წევრი გამსჭვალულია იმ გრძნობით, რომ გახადოს კოლექტივი უფრო მონოლითური, ბრძოლისუნარიანი და მიაღწიოს მაღალ სპორტულ შედეგებს.

მოვუწოდებთ საქართველოს ყველა სპორტსმენს გამოეხმაუროს ამ მიმართვას და აიღოს საკუთარი ვალდებულებანი, რათა იყოს სანიმუშო, მაგალითის მიმცემი როგორც სპორტში, ისე სწავლასა და შრომაში.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის სახელით:

ნ. ახალკაცი, გუნდის უფროსი,
გ. ჩოხელი, უფროსი მწვრთნელი,
მ. ხურცილავა, გუნდის კაპიტანი,
ზ. ებრალიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი,
გ. ნოდია, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

* * *

ეს მიმართვა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 26 მაისს მიიღეს გუნდის საერთო კრებაზე, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ ნ. ახალკაცი, ზ. ებრალიძე, რ. ძოძუაშვილი, ვ. ქელაძე, გ. ნოდია.

ფეხბურთელებს სიტყვით მიმართეს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის განყოფილების გამგემ ნ. ბარათაშვილმა და საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. პერტენავამ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ფეხბურთელთა მიმართვას მხარს დაუჭერენ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც და სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში აიღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს საქართველოს სპორტული დელეგაციის საერთო წარმატებისთვის.



27 მაისს თბილისში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩი თბილისის „დინამოს“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის. სურათზე აღბეჭდილია პირველი გოლი ოდესელთა კარში.

მ. ზარგარიანის ფოტო.


(მატჩის ანგარიში იხ. 80-3 გვ.).

# მოვაკალ პედაგოგებთან

ჭრინ უსასრულო, ცისფერი სივრცეა გადაშლილი. ზღვის ტალღები პურის ყანასავით ღივლივებს. შორს, ჰორიზონტზე, მეთევზეთა ნავები ჩანს. სანაპიროზე დამსვენებლები სეირნობენ. ზოგი მოშორებით ფრენბურთს თამაშობს.

ჩვენს უკანაც წყალია — მტირალ ტირიფებში ჩაფლული ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ტბა. მის მოსარკულ ზედაპირზე ლამაზად დასრიალებენ ნაიდარები.

დიდებული ადგილია.

„ამ ადგილებში 1919 წლის ზაფხულში ჩატარდა ბათუმის რევოლუციური ახალგაზრდობის პირველი კრება, რომელმაც აირჩია კომკავშირის ბათუმის კომიტეტი", გვამცნობს თეთრი, სამსართულიანი შენობის კედელზე გაკრული მემორიალური დაფის წარწერა. ეს შენობა კი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეკუთვნის, რომელიც 36 წელია შოთა რუსთველის სახელს ატარებს. იგი ჭეშმარიტად ცოდნის ტაძარია აჭარის ახალგაზრდობისთვის. ერთ წელიწადში ინსტიტუტის არსებობის 40 წლისთავს აღნიშნავენ ბათუმელები, მთელი რესპუბლიკის მშრომელები.

ახალგაზრდობა ამ ინსტიტუტში არჩეული სპეციალობის გარდა იმაღლებს კულტურულ-ესთეტიკურ დონეს, ეწაფება ფიზკულტურასა და სპორტს. ჩვენი დღევანდელი წერილის მიზანი სწორედ ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებაზე საუბარია.

## გადასაჭრელი პრობლემები

ეხადია, აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე კარგად იცნობს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებას, მოწინავე სპორტსმენებს, მათ აღმზრდელებს. იგი ხომ მრავალი წლის მანძილზე თავკაცობდა ინსტიტუტის ფიზკულტურულ კოლექტივს. როცა ვთხოვეთ ინსტიტუტის მოწინავე მწვრთნელები ჩამოეთვალა, მან უმალ ლეილა კაკაბაძე და ივანე მჟავანაძე დაასახელა და დაგვიხასიათა როგორც ყველაზე მონდომებული, გამრჯე მუშაკები.

ლ. კაკაბაძე საქართველოს ფრენბურთელთა ღირსებას იცავდა სსრ კავშირის ხალხთა პირველ სამ სპარტაკიადაში. ახლა იგი აჭარის ფრენბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელიცაა. მისი აღზრდილი გოგონები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და ხშირად საპრიზო ადგილებსაც იკავებენ. აჭარის ნაკრებში მუდამ არიან ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ქალიშვილები. ისინი ნატრობენ მოძმე რესპუბლიკების ძლიერ გუნდებთან შეხვედრას, მაგრამ რა ქნან, საამისოდ ოსტატობა არ ყოფნით, თავს ზემოთ კი ძალა არ არის.

— ოსტატობით ჩვენ კი არა, საქართველოს ნაკრებიც ვერ დაიკვეხნის, — თქვა ლ. კაკაბაძემ. — რესპუბლიკაში ფრენბურთის განვითარებას ზოგიერთი მწვრთნელის უპასუხისმგებლობა უშლის ხელს. ხშირად დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელი აღმოაჩენს კარგი მონაცემების მქონე ფრენბურთელს, ზედ რამესაც ასწავლის, მაგრამ შემდეგ ვეღარ ელევა, რომ უკეთეს აღმზრდელს გადასცეს. ეს კი საერთო საქმისთვის საზიანოა. ბაზების მხრივაც ცუდადაა საქმე. აჭარის ფრენბურთელები, მაგალითად, ყოფილ ეკლესიის შენობაში არიან შეხიზნული. ჩვენი ინსტიტუტის დარბაზში კი მეტისმეტად სივიწროვეა. აი, ეს ორი ვაი-დარბაზია აჭარის ფრენბურთელთა მთელი ავლადიდება.

ინსტიტუტში სპორტის ათი სახეობაა დანერგილი, მაგრამ ბაზები არა აქვთ. სტუდენტთა განკარგულებაშია ფრენბურთისა და კალათბურთის ერთი ღია კომპლექსური მოედანი და ორი სპორტული დარბაზი. ამ დარბაზებში ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები, აქ ვარჯიშობენ ძალოსნები, ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები... ვარჯიშობენ და თან მალიმალ საათს დაჰყურებენ, რომ დარბაზი დროულად დაუთმონ სხვა სექციის წევრებს. ასეთ პირობებში კი ძნელია, ძალიან ძნელია მაღალი შედეგების მოპოვება. უდავოდ, ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ინსტიტუტში ვერც შარშან და ვერც შარშანწინ სპორტის ოსტატის ნორმატივი ვერავინ შეასრულა.

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ჩაშლილი იყოს. სტუდენტებზე არც „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში ამბობენ საყვედურს, არც აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში. მაგრამ სპორტში უმაღლეს მწვერვალებს ხომ სწორედ სტუდენტობის წლებში იპყრობენ. ჩვენ ამას მოვითხოვთ.

— ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ხომ საშუალო სკოლიდან უნდა მივიღოთ შევსება მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა სახით. ეს კი ძალიან იშვიათად ხდება, — გვეუბნება ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე მ. ბედოშვილი. — ჩვენთან უმთავრესად აჭარის სოფლებიდან ჩამოსული ჯანსაღი ახალგაზრდობა მოდის, მაგრამ უმეტესობა „ნამდვილი" სპორტის ნაიბურშიც არ არის. ფაქტიურად, ისინი ჩვენს ინსტიტუტში დგამენ პირველ ნაბიჯებს.

მას შემდეგ, რაც მშდ კომპლექსი შემოიღეს, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებს ბევრი საზრუნავი გაუჩნდათ. ისინი ცდილობენ, რომ ყველა სტუდენტი ახალი კომპლექსის ნიშნოსანი გახდეს. ასრულებენ კიდეც გეგმებს, მაგრამ, როგორც თითქმის ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს, ცურვაში უჭირთ ნორმატივების ჩაბარება. საცურაო აუზი მათთვის დიდზე დიდი ფუფუნებაა. მაგრამ, ღვთის მადლით, ზღვა ხომ იქვე, ორი ფეხის ნაბიჯზეა. მას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ცურვის შემსწავლელებს.

## ინსტიტუტის სპორტკლუბის ლვაწლი

ლღის ბოლოს მივაკითხეთ ინსტიტუტის სპორტკლუბის ხელმძღვანელს გ. კოზმოვს. იგი სტადიონისკენ მიიჩქაროდა: იქ ბათუმის დინამოელებს საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ჰქონდათ.

— მთელი ჩვენი ინსტიტუტი ბათუმის „დინამოს" გულშემატკივარია, მით უმეტეს, რომ გუნდის ნახევარზე მეტი სწორედ ჩვენთან სწავლობს. გარდა ამისა, გუნდის უფროსი ჩვენი ინსტიტუტის ფიზკულტურის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე გენადი მენაბდეა, — გვითხრა კოზმოვმა.

აჭარის ნაკრები გუნდების მთავარ ბირთვს სწორედ ამ სპორტკლუბის წევრები შეადგენენ. მათი რიცხვი კი 40-ზე მეტია. ისინი წარმატებით იცავენ ინსტიტუტის სახელს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ პირველობებშიც. წლეულს ამ შეჯიბრებაში ყველაზე მეტად მაგიდის ჩოგბურთელებმა იყოჩაღეს და გამარჯვება არავის დაუთმეს. მაგიდის ჩოგბურთელთა სექციის წევრებს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კ. გუგუშვილი საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს. ინსტიტუტში მისი საუკეთესო მოწაფეები არიან გ. ლევინა, ლ. კარაპეტიანი და გ. ხარხოიანი.

## მეტი სიამაყე

გახსოვს 1967 წლის შემოდგომა, თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა, ტანვარჯიშის დარბაზი. იქ ტარდებოდა სსრ კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეხვედრა. მახსოვს 13 წლის თეთრბაფთებიანი, ცქრიალა გოგონაც, რომელმაც თავისუფალი ვარჯიშის შერსულებით ბლაფრთოვანა მაყურებლები, მწვრთნელები და თვით მკაცრი მსაჯებიც კი. გოგონა განათებული სარბიელის ცენტრში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა და მოღიმარი ღებულობდა ჯილდოს. ეს იყო მისი პირველი გამარჯვება საერთაშორისო სარბიელზე. იგი მაშინ დგამდა პირველ ნაბიჯებს დიდ სპორტში. დღეს კი ის გოგონა ცნობილი ტანმოვარჯიშეა, რომელსაც ამერიკულმა პრესამ „ქართველი მზეთუნახავი" უწოდა.

დიახ, რუსუდან სიხარულიძეზე მოგახსენებთ, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტზე, ამ ინსტიტუტის სიამაყეზე.

ა. ბურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

• • •

სურათებზე: ი. მჟავანაძე ამეცადინებს ინსტიტუტის ძალოსანთა სექციის წევრებს; მ. ბედოშვილი კალათბურთელთა სექციის წევრებს თამაშის დაწყებამდე რჩევა-დარიგებას აძლევს; ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელი ლ. დოლჟენკო ავარჯიშებს ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს მ. გოგუაძეს.

ავტორის ფოტოები.







# ბატუტი: ახალგაზრდობის იერიში

კიევი, 27 მაისი. 16 წლის ვორონეჟელმა მოსწავლემ სვეტლანა ლევინამ, რომელიც ევროპის ჩემპიონია იუნიორთა შორის ბატუტზე სინქრონულ ხტომაში, გუშინ ყველას აჯობა X საკავშირო პირველობაში ინდივიდუალურ შეჯიბრებაში. მისი ერთ-ერთი ძირითადი მეტოქე, ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი და ამ ტიტულის ხუთგზის მფლობელი თ. სტარიკოვა (ტოლიატი) მეოთხე შედეგს დასჯერდა. ლევინამ 18 წლის ვიტებსკელ სპორტსმენთან ტ. ჩუმინასთან ერთად საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა სინქრონულ ხტომაშიც.

ვაჟთა შეჯიბრებაში, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო შეჯიბრებას გამოეთიშნენ I ადგილის სერიოზული პრეტენდენტები — კიეველი გ. ჩერნოვი და ლვოველი ა. ვოლინკინი, ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. მით უფრო საპატიოა 17 წლის კრასნოდარელი გ. იანესის გამარჯვება.

სინქრონულ ხტომებში ასევე პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს სვერდლოვსკელებმა ნ. შმელიოვმა და ს. ლობანოვმა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონთა შესაფერი ოსტატობა გამოავლინეს. გუნდური გამარჯვებისთვის სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გარდამავალი ბროლის თასი არმიელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. II ადგილი დაიკავა „სპარტაკმა", III — „შრომითი რეზერვების" გუნდმა.

ბატუტზე ხტომამ საბჭოთა კავშირში ეს ათი წელიწადია ფეხი მოიკიდა და უკვე დიდი პოპულარობაც მოიპოვა. ახლა ეს სახეობა ას ქალაქშია დანერგილი. მის რიგებში უკვე 400 სპორტის ოსტატი ითვლება. ეს გვაძლევს იმედს, რომ საბჭოთა ბატუტზე მხტომელები საერთაშორისო სარბიელზეც აღიარებას მოიპოვებენ.

საპრიზო სამეულები ჩემპიონატის პროგრამის ოთხ სახეობაში:

ინდივიდუალური ხტომა: ქალები — ს. ლევინა („ტრუდი") — 107,6 ქულა, გ. ზარშჩიკოვა („სპარტაკი") — 106,3, ტ. ჩუმინა („კრასნოე ზნამია") — 106,1. ვაჟები — გ. იანესი („სპარტაკი") — 124 ქულა, ს. ლობანოვი (შეიარაღებული ძალები) — 123,6, ნ. იაკოვენკო („სპარტაკი") — 118,8.

სინქრონული ხტომა: ვაჟები — ნ. შმელიოვი და ს. ლობანოვი (შეიარაღებული ძალები) — 54,95 ქულა, გ. იანესი და ნ. იაკოვენკო („სპარტაკი") — 52,75, ნ. ბასანოვი და ბ. ეპელბაუმი (შეიარაღებული ძალები) — 50,65. ქალები — ტ. ჩუმინა და ს. ლევინა („ტრუდი") — 49,15 ქულა, ო. სტარიკოვა და ტ. იანესი („ტრუდი" და „სპარტაკი") — 48,0, გ. მოისეევა და ნ. კოლესნიკოვა („ბურევესტნიკი") — 43,1.

ს. ბელოვი.
(საქინფორმის კორ.).

# რაიალმასკომის პრიზზე

ამას წინათ გორში გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში რაიალმასკომის პრიზზე.

შეჯიბრება ლენინის დაბადების 104 წლისთავს მიეძღვნა.

ასპარეზობაში, რომელიც პირველად ჩატარდა, 70 ნორჩი ათლეტი მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. გიორგაძემ, ს. გოგინაშვილმა, გ. ნარიკაშვილმა (სამივე — მეჯვრისხევი), ი. ზაზარაშვილმა (ქარალეთი), გ. მუზაშვილმა, ე. საურმა (ორივე — ატენი), ბ. გოგიჩაშვილმა (ხიდისთავი).

გუნდური პირველობა მოიპოვეს მეჯვრისხეველებმა. II ადგილზე გავიდა ატენის გუნდი, ხოლო III — ხიდისთაველთა კოლექტივი.

გ. მთვარელიძე,
გორის რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.

## რაიონებში სტარტები

### ✦ წითელი წყარო

აქ გაიმართა VI რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთელ ვაჟთა შორის. ასპარეზობდა 8 კოლექტივი. ჩემპიონობა დაისაკუთრა ალგეთის რიგი რუსული საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

უ. წყარუაშვილი.

### ✦ მაიაკოვსკი

რაიონის საშუალო სკოლების ფეხბურთელთა 12 გუნდი მონაწილეობდა გარდამავალ თასზე გამართულ შეჯიბრებაში. წარმატება ხვდა მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის გუნდს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ როხისა და დიმის 1-ლი სკოლის ნორჩები.

რ. ენდელაძე,
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.




# დინამოელები მეოთხედფინალში გავიდნენ

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 27 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1 (0:0).

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ებრალიძე, გუცაევი, გ. ნოდია, გ. მაჩაიძე.

„ჩერნომორეცი“: ნეფიოდოვი, ნეჩაევი (საპოჟნიკოვი), ლეშჩუკი, ლოგვინენკო, ზუბკოვი (მაკაროვი), ფეიდმანი, ბუტენკო, გრიგორიევი, ტომაშევსკი, ჩვანენკო, კულიჩენკოვი.

მსაჯი მ. კაზაკოვი (მოსკოვი).

იშვიათად ჰქონია რომელიმე ფეხბურთელს ისეთი სწრაფი და აღმავალი სპორტული კარიერა, როგორც თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელს ვლადიმერ გუცაევს. ახალგაზრდა ფეხბურთელი 1970 წელს შეამჩნიეს და რამდენიმე მატჩი ანდეს დინამოელთა სათადარიგო გუნდში. 1971 წელს იგი უკვე ძირითად შემადგენლობაში იყო, ერთი წლის შემდეგ კი სსრ კავშირის პირველ ნაკრებში მოხვდა და სეზონის შედეგებით პირველ ფეხბურთელად გაიდა მარჯვენა ფლანგზე 33 საუკეთესოს შორის.

ასეთი პროგრესი თავისთავად იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ცალკე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის, რომ გუცაევმა სულ ორიოდე სეზონის მანძილზე არა მარტო მწვრთნელთა და სპეციალისტთა შორის პოვა აღიარება, არამედ ფეხბურთის მოყვარულთა და მაყურებელთა საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურა. ეს კი გაცილებით უფრო დიდი და ძნელი საქმეა. მაყურებელი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოყოფს ხოლმე გუნდიდან ვინმეს და თავის სიმპათიებს მიუძღვნის მას. გუცაევმა ეს სიმპათიები დაიმსახურა არა მარტო თავის მშობლიურ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც.

მაგრამ შარშანდელ სეზონში გუცაევმა როგორღაც უცბად უკლო თამაშს, გაუფერულდა, ჩრდილში მიდგა. მთელ რიგ მატჩებში იგი, უბრალოდ, პასიურობდა, თავს არიდებდა ბრძოლას, განსაკუთრებით, თუ უშუალო მეტოქედ ძალისმიერი, მკაცრი მცველი შეხვდებოდა.

და აი, ახლა ყველანი გუცაევის ხელმეორე „საფეხბურთო დაბადების“ მოწმენი ვართ. მან შესანიშნავად ითამაშა ჯერ ერევნის „არარატთან“, მერე კი „ჩერნომორეცთან“ და ნათლად დაგვანახვა, თუ რა პოტენციური შესაძლებლობები აქვს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია კოლექტივისთვის. მის ინდივიდუალურ თვისებებს დაემატა მაღალი ბრძოლისუნარიანობა, სპორტული ჟინი, გამბედაობა, შეუპოვრობა. ამ ორ მატჩში გუცაევს გაძლიერებული ძალებით ებრძოდნენ ერევნელებიც და ოდესელებიც, მაგრამ ყველა ცდა მისი გარღვევების წინაღმდეგ ამაო იყო. დინამოელთა თავდამსხმელმა ფინტების რამდენიმე ისეთი სერია ჩაატარა, რომ მეტრეველიც სიამოვნებით მოაწერდა მათ ხელს.

57-ე წუთზე გუცაევმა მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლა, უდიდესი სისწრაფით მოიტოვა ზურგს უკან ლეშჩუკი, ნეჩაევი, ლოგვინენკო, გამოიტყუა კარიდან ნეფიოდოვიც და ზუსტად დაარტყა მიზანში.

75-ე წუთზე გუცაევმა ასევე ოსტატურად ითამაშა ანალოგიურ სიტუაციაში, ერთიანად არია „ჩერნომორეცის“ დაცვის რიგები და, როგორც იტყვიან, „ხონჩით“ მიართვა ბურთი ნოდიას გასატანად.

როცა ყველაფერს ამას ვლაპარაკობთ გუცაევზე, იმის იმედი გვინდა გამოვთქვათ, რომ იგი თავის დღევანდელ საუკეთესო ფორმას სტაბილურად აქცევს და დიდ სამსახურს გაუწევს გუნდს.

თასის გამეორებითს მერვედფინალურ მატჩში თბილისის „დინამო“ არ იდგა რამდენადმე მაინც რთული პრობლემების წინაშე. „ჩერნომორეცთან“ ოდესაში მას პირველი თამაში მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:0 და საჭირო იყო ამ მიღწევის შენარჩუნება.

პირველი ტაიმი საკმაოდ უფერული გამოდგა, ვინაიდან სტუმრებიც საერთო წაგებას შერიგებული ჩანდნენ და მასპინძლებსაც მაინცდამაინც არ გამოუდევთ თავი. შესვენების შემდეგ ოდესელებმა ორი ცვლილება მოახდინეს შემადგენლობაში და შეტევაზე გადავიდნენ. დინამოელებმა მიიღეს ეს გამოწვევა, კარგად ორგანიზებული დაცვიდან იერიშზე გადავიდნენ და კიდევ ერთხელ დაამარცხეს „ჩერნომორეცი“. გუცაევისა და ნოდიას ზემოხსენებულ ორ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს, რომელიც გრიგორიევმა გაიტანა 63-ე წუთზე.

წინაა მეოთხედფინალური მატჩი, სადაც თბილისელებს თავიანთ ძველ მეტოქესთან — მოსკოვის „დინამოსთან“ უწევთ ბრძოლა.

ზ. ყორაჩია.

სსრ კავშირის თასზე

## მერვედფინალური შეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) | 7:6 (პენალტებით) | (0:0) |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კაირათი“ (ალმა-ათა) | 4:0 | (3:2) |
| „არარატი“ (ერევანი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) | 1:1 | (2:0) |
| „შახტიორი“ (დონეცკი) — სკა (დონის როსტოვი) | 2:0 | (2:0) |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — ცსკა | 1:1 | (1:0) |
| „დინამო“ (კიევი) | | |
| „დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 2:1 | (2:0) |
| „დინამო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 2:1 | (3:1) |



ფრჩხილებში ნაჩვენებია მერვედფინალის პირველი მატჩების შედეგები.

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „სპარტაკი“ — „ზარია“, „არარატი“ — „შახტიორი“, „დნეპრი“ — კიევის „დინამო“ (კიეველები სსრ კავშირის ნაკრები გუნდისთვის ყველაზე მეტი მოთამაშის მიწოდებისთვის დაშვებული არიან უშუალოდ მეოთხედფინალში), „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი).

ეს მატჩები გაიმართება 5 და 14 ივნისს.




27 მაისს ტყიბულის სტადიონზე შედგა საქართველოს მოსწავლეთა XXVI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული საფეხბურთო ტურნირის დასკვნითი მატჩები. დაძაბული ბრძოლა თბილისისა და გორის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 2:2, ქუთაისელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს აფხაზეთის ნაკრები, ხოლო რუსთაველებმა მოუგეს აჭარის გუნდს — 2:1.

თბილისისა და რუსთავის გუნდებს დაუგროვდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 7-7, მაგრამ, ვინაიდან თბილისელებმა (მწვრთნელი ო. კინწურაშვილი) გაიმარჯვეს რუსთაველებთან უშუალო შეხვედრაში, I ადგილი მათ ხვდათ.

II ადგილი დაიკავა რუსთავის გუნდმა (მწვრთნელი ბ. ჩაჩავა), ხოლო III — გორის კოლექტივმა (მწვრთნელი გ. ჩირკო).

## თბილისელთა გამარჯვება

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდები.

შეჯიბრების შემდეგ მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება. ნორჩ ფეხბურთელებსა და მათს მწვრთნელებს გადაეცათ მედლები, საპატიო სიგელები.

დანიშნული იყო სპეციალური პრიზები ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთათვის. ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარებულია დ. კურცხალია (რუსთავი), მცველად — გ. ჭილაია (თბილისი), ნახევარმცველად — თ. ანასაშვილი (თბილისი), ხოლო თავდამსხმელად — გ. ვლაშჩენკო (გორი).

აღსანიშნავია, რომ ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობას ტყიბულში სამაგალითო მასპინძლობა გაუწიეს, რისთვისაც შეჯიბრების ორგანიზატორები სიგელებით დაჯილდოვდნენ. მაღალ დონეზე იდგა მატჩების მსაჯობაც.

აქვე მოეწყო საინტერესო შეხვედრა ტყიბულის ვეტერან ფეხბურთელებსა და ნორჩ ფეხბურთელთა მწვრთნელთაგან შემდგარ გუნდს შორის. მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

ზ. ჯორჯაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ტყიბული.

სსრ კავშირის პირველობა




მოგვყავს 24 მაისის შეხვედრათა შედეგები: „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 2:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) 0:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ურალანი“ (ელისტა) 2:1, „დინამო“ (ბრიანსკი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „ლორი“ (კიროვაკანი) 4:0.

## დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე

საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები ამ დღეებში პოლონეთს მიემგზავრება, სადაც საერთაშორისო შეხვედრებს ჩაატარებს იქაურ გუნდებთან.

ამ მგზავრობისთვის მზადების პროგრამით თბილისში მოწვეულია უზბეკეთის ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. დღეს, 19 საათზე, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგება საქართველოს და უზბეკეთის გუნდების შეხვედრა.

# ჭადრაკი

პრაღა, 28 მაისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოველმა ფაინა მელნიკმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 69,90 მ.

ძველი რეკორდი (69,48) მასვე ეკუთვნოდა და შარშან სექტემბერში იყო დამყარებული.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

## ალექსანდრია — შული 4:2

რიგა, 28 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ალექსანდრია — შულის მატჩში VI პარტია გაიმართა (იგი შაბათს უნდა შემდგარიყო, მაგრამ შულის ავადმყოფობის გამო გადაიტანეს). მეტოქეებმა თამაში ახალინდური დაცვით დაიწყეს. ამ სადებიუტო სისტემაში შავები ადვილად ათანაბრებენ პოზიციას, თუ თეთრები მხოლოდ თავიანთი ფიგურების მობილიზებისთვის ზრუნავენ. არც შულს შეუძლია ხელი მეტოქის ძალთა განვითარებისთვის.

მე-12 სვლაზე შულმა მცდარი სტრატეგიული გეგმის ხორცშესხმა დაიწყო. მან გამოიწვია შავი პაიკების წინსვლა ლაზიერის ფრთაზე, ეს წინსვლა გათამაშებულ დებიუტში შავებით თამაშის დედააზრია. მცდარ ჩანაფიქრს მოჰყვა ის, რომ შულის ფიგურების უპირატესობა ბრძოლას გამოეთიშა. ალექსანდრიამ დაუყოვნებლივ ისარგებლა თეთრი მეფის პოზიციის დასუსტებით და ცენტრში გარღვევით იერიშის განვითარებას შეუდგა.

როცა 21-ე სვლაზე შულმა ლაზიერიც გარიყა ბრძოლის ველიდან, ალექსანდრიამ გონებამახვილური კომბინაციით (კუს შეწირვით) მეტოქის მეფეს შეუტია.

პრეს-ცენტრში მყოფი ოსტატები და ჟურნალისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ პარტია ალექსანდრიას გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. მაგრამ ყველას აინტერესებდა, როგორ მოხდებოდა ეს. ოსტატების აზრით, უფრო მალე იგებდა 25. ... ეc4!

შესანიშნავი იყო ალექსანდრიას 27-ე სვლა. შულის მეფეს ვეღარაფერი უშველიდა. ეტლში ლაზიერის იძულებითი დათმობის მერე შულის გვირგვინოსანი საშამათო ქსელში გაება.

37-ე სვლაზე შულმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. მატჩის ანგარიში გახდა 4:2 ალექსანდრიას სასარგებლოდ. ფინალურ მატჩში თამაშის უფლების მოსაპოვებლად ალექსანდრიას დარჩენილ ოთხ პარტიაში მხოლოდ 1,5 ქულის მოგროვებაღა სჭირდება. VII პარტია ხვალ, 29 მაისს გაიმართება.

გთავაზობთ VI პარტიას:

შული — ალექსანდრია

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. e3 კb7 5. კd3 d5 6. cd ed 7. 0—0 კd6 8. მc3 0—0 9. ლc2 a6 10. კd2 მbd7 11. a3 ლe7 12. მa2 მe4 13. კb4 c5 14. dc bc 15. კa5 ეfe8 16. ეfd1 d4 17. ed მg5 18. მ:g5 ლ:g5 19. კf1 cd 20. კb4 ეac8 21. ლa4 კ:h2+ 22. მფ:h2 მe5 23. ე:d4 ეe6 24. კe7 ლ:e7 25. ეh4 ეg6 26. მc3 ლg5 27. ლf4 მf3+ 28. gf ლg1+ 29. მფh3 ლh1+ 30. ლh2 ლ:f3+ 31. ლg3 ე:g3+ 32. fg ლh1+ 33. მფg4 ლf3+ 34. მფh3 f5 35. კc4+ ე:c4 36. ე:c4 ლg2+ 37. მფh4 h6. შული დანებდა.

ნ. ჟურავლიოვი,

ჟურნალ „შახმატის“ პასუხისმგებელი მდივანი.

## კოზლოვსკაია — ლევიტინა

კისლოვოდსკი, 27 მაისი. სანატორიუმ „როდინას“ კლუბში სტარტი აიღო ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეორე ნახევარფინალურმა მატჩმა ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის.

გათამაშდა I პარტია. დებიუტიდან უპირატესობა ლენინგრადელმა მოჭადრაკემ მიიღო, მაგრამ შემდეგ მცდარი გეგმა აირჩია. პარტია გადაიდო. ლევიტინას ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ კოზლოვსკაიას პოზიცია უკეთესია.

## 16 სექტემბერს მოსკოვში

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ა. კარპოვსა და ვ. კორჩნოის შორის ჩაატაროს მოსკოვში. I პარტია 16 სექტემბერს გაიმართება.

მატჩში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭადრაკე, რომელიც ადრე მოიგებს 5 პარტიას, ოღონდ ორთაბრძოლაში 24 პარტიაზე მეტი არ გათამაშდება. მატჩის ყაიმით (12.12) დამთავრების შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერის მეტოქე კენჭისყრით გამოვლინდება.

ხელბურთი

## უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის

ზაპოროჟიე, 27 მაისი. ადგილობრივი მეტალურგიის ინსტიტუტის ხელბურთელ ქალთა გუნდმა ყველას აჯობა პირველი ჯგუფის კოლექტივთა საკავშირო პირველობაში და საგაისოდ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. პირველობის ბოლო, მესამე ტურის დამთავრებამდე ორი დღით ადრე ზაპოროჟიელებმა 19 ქულა დააგროვეს და მეტოქეთათვის მიუღწეველი აღმოჩნდნენ.

II ადგილისთვის შეუპოვრად იბრძვიან „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) და „კოლოსი“ (ბერეგოვოე). II ადგილზე გასული გუნდი უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად გადასახვლელ თამაშებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

## მეოთხე წრის წინ

ტაშკენტში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის ბოლო ორი მატჩი კვლავ წარუმატებლად ჩაატარა თბილისის „ბურევესტნიკმა“: მან ჯერ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან წააგო — 21:28 (8:11), ხოლო ბოლო დღეს ცსკა-სთან დამარცხდა — 21:30 (9:12).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ტაშკენტი) — ცსკა 27:32 (16:14), მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) 21:11 (11:4), „კუნცევო“ (მოსკოვი) — სკა (კიევი) 28:21 (15:12), საავიაციო ინსტიტუტი — მეტალურგიული ინსტიტუტი 32:21 (17:8), „კუნცევო“ — „ალუმინსტროი“ 23:22 (14:11), ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი — სკა 19:19 (9:11).

ახლა ხელბურთელებს სათამაშო დარჩათ მეოთხე წრის თამაშები, რის შემდეგაც გადაწყდება სსრ კავშირის ჩემპიონობისა და დანარჩენი ადგილების ბედი, გამოვლინდებიან გუნდები, რომლებიც საგაისოდ უმაღლეს ლიგას დატოვებენ. მეოთხე წრის შეხვედრები გაიმართება კიევში ერთი თვის შემდეგ.

მდგომარეობა მესამე წრის შემდეგ:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაც. ინსტ. | 19 | 0 | 2 | 599:481 | 38 |
| „კუნცევო“ | 14 | 2 | 5 | 500:483 | 30 |
| ცსკა | 13 | 2 | 6 | 524:452 | 28 |
| მეტალ. ინსტ. | 9 | 4 | 8 | 469:442 | 22 |
| სკა | 8 | 5 | 8 | 462:459 | 21 |
| „ალუმინსტ.“ | 6 | 1 | 14 | 444:506 | 13 |
| ფიზ. ინსტიტუტის სპორტკლუბი | 4 | 2 | 15 | 431:524 | 10 |
| „ბურევესტნიკი“ | 3 | 0 | 18 | 453:535 | 6 |

# სენსაციებს ბოლო არ უჩანდა

ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჰელსინკში ჩასულ სპორტულ ჟურნალისტებს რკინიგზის ვოგზალზევე გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებმა. ამ ქვეყნის მოგზაურობათა ბიუროს მიერ გამოცემულ პროგრამაში, რომელიც იქვე გადმოგვცეს, ჰოკეისტთა ასპარეზობის განრიგის გარდა დაბეჭდილი იყო რუსულ-ფინური მინი-ლექსიკონიც, რომელიც იწყებოდა ჩვენთვის დიდად სასიამოვნო სიტყვებით: რაუჰა — მშვიდობა, იუსტიავიუს — მეგობრობა, პიავიაია — გამარჯობა, ჰუომენტა — დილა მშვიდობისა...

საბჭოთა ჟურნალისტთა 25-კაციანი რაზმი რკინიგზის ვოგზლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სასტუმრო „ვააკუნაში" დაბინავდა. მეორე დღეს კი, 5 აპრილს „იააჰალიში" სტარტს იღებდა ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი.

ჟურნალისტები ძალიან ცნობისმოყვარენი რომ არიან, ეს არავისთვის ახალი ამბავი არ უნდა იყოს. ყველა მოუთმენლად ელოდა 5 აპრილს, ყველა ერთი ფიქრით იყო შეპყრობილი: იქნება რაიმე ჩვენი საკბილო ამ ჩემპიონატში, თუ ყველაფერი „მშვიდობიანად" დამთავრდება და მატჩების ანგარიშის მეტს რედაქციებს ვერაფერს მივაწვდითო?

რა იცოდნენ ჩემმა კოლეგებმა, რომ ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეის ისტორიაში შევიდოდა, როგორც ყველაზე სენსაციური და სკანდალური შემთხვევებით სავსე ასპარეზობა.

შეჯიბრების პირველ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა იოლად მოუგო პოლონელებს, ხოლო სსრ კავშირის ჰოკეისტებმა—გდრ-ის გუნდს. 6 აპრილს, შვეციისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრის შემდეგ, შვედებმა პირველი 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა: მატჩის შემდეგ ჩემპიონატის სადოპინგო კომისიამ მეტოქე გუნდებიდან ორორი მოთამაშე შეამოწმა და დაადგინა, რომ შვედ ულფ ნილსონს დოპინგი ჰქონდა მიღებული. განაჩენი ულმობელი იყო: შვეციის ნაკრებს ჩაეთვალა წაგება ანგარიშით 0:5, ხოლო ნილსონს დისკვალიფიკაცია მიეცა.

ამ სენსაციურმა ამბავმა სპორტულ ჟურნალისტებს — 450 კაცს — თითქოს მადა გაუხსნა: ჟურნალგაზეთების რედაქციების, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები პრეს-ცენტრს არ სცილდებოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ მოყვარულ ჰოკეისტთა საერთაშორისო ლიგის პრეზიდენტს ჯ. აჰერნს, რომელსაც ხშირად ნახავდით პრეს-ცენტრში თუ „იააჰალის" ტრიბუნებზე. იგი სიამოვნებით აძლევდა პასუხს არა მარტო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, მონაწილე გუნდების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, არამედ რიგით გულშემატკივრებსაც, სურათებს იღებდა მათთან.

ზემოხსენებული ინციდენტის დროს პრეზიდენტმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინა. მან პირველმა მოითხოვა, რომ შვეციის გუნდისთვის წაგება ჩაეთვალათ. შვედ ჟურნალისტთა გუნდმა, რომელშიც ასზე მეტი კაცი შედიოდა, მასპინძლისა და თვით პრეზიდენტის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი აზრით, შვედების ასე დასჯა ფინელებისთვის ხელსაყრელი იყო, ვინაიდან ამით ფინეთის ნაკრებს III ადგილისკენ ეხსნებოდა გზა. ნილსონს ამართლებდნენ, ღვიძლის დაავადება აქვს და ტკივილის გასაყუჩებლად ეფედრინი მიიღოო. მაგრამ ჩვენმა შვედმა კოლეგებმა კარგად იცოდნენ, რომ ეფედრინი დოპინგის ერთ-ერთი სახეობაა და, საერთაშორისო წესებით, მისი მიღება აკრძალულია.

ჰელსინკის სპორტულ წრეებში ხმა დაირხა, შვეციის ნაკრები უარს იტყვის ჩემპიონატის გაგრძელებაზე და შინ დაბრუნდებაო. მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა. შვეციის ჰოკეისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ უ. რაინერმა ერთ-ერთ სააგენტოს გადასცა ცნობა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები სასჯელის გამო პროტესტს არ აცხადებდა: ყოველივე ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ კანონია და მას ყველა უნდა დაემორჩილოსო. შვეციის ნაკრების დამრიგებელმა ჩ. სვენსონმა ყველას გასაგონად თქვა: ჩვენ გავაგრძელებთ თამაშს და ვიბრძოლებთ ჩემპიონატის მედლებისთვისო. შვედ ჰოკეისტებს ერთი ელდა ჯერ ვერ მოენელებინათ, რომ ახალი სადარდელი გაუჩნდათ: ამჯერად ჰოკეისტები დაადანაშაულეს იმაში, რომ რეკლამას უწევდნენ ცნობილ ფირმა „ვოლვოს" (ჩაფხუტებზე ეწერათ ამ ფირმის სახელი), რაც მოყვარულთა სტატუსს ეწინააღმდეგება.

სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდების მატჩის წინ ათასნაირი პროგნოზები დაიბეჭდა ადგილობრივ პრესაში. რასაკვირველია, ფინელი ჟურნალისტები ამხნევებდნენ თავიანთს თანამემამულეებს: საბჭოთა ნაკრები ის აღარ არის, რაც წინა ჩემპიონატების დროს იყო, მის რიგებში ბევრი ახალგაზრდა ჰოკეისტია და ახლები თამაშის ტექნიკითა თუ ტაქტიკით ბევრად ჩამოუვარდებიან გუნდიდან წასულ სახელმოხვეჭილ სპორტსმენებსო, — წერდნენ ისინი.

ამ ორი გუნდის შეხვედრის დღეს „იააჰალის" სპორტის სასახლეში 10 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. იმ დღის წინა მატჩიც საინტერესო იყო: ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები. თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა. ტრიბუნებიდან მხოლოდ შვედური შეძახილები ისმოდა: „ჰეია, ჰეია!" (წინ, წინ!). ეს გასაგები იყო: ფინეთში ძალიან ბევრი შვედი ცხოვრობს...

ორივე მხარე ძალიან ფრთხილად თამაშობდა, არაფერს უთმობდა ერთმანეთს. მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო წუთზე შვედებმა დაცვაში საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და ივან ჰლინკამ ისინი გადამწყვეტი შაიბის გატანით დასაჯა — 3:2.

იმედი არც ფინელ გულშემატკივრებს გაუმართლდათ. მაყურებელთა დიდი ცდისა და თვით ფინეთის გუნდის კარგი თამაშის მიუხედავად, სსრ კავშირის ნაკრებმა იოლად გაიმარჯვა — 7:1.

10 აპრილს დანიშნული იყო ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი: ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი. იმ დღეს „იააჰალიში" მოხვედრაზე ბევრი ოცნებობდა, მაგრამ ამ შეხვედრისა და სხვა ცენტრალური მატჩების ბილეთები ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. ამიტომ უბილეთოდ დარჩენილი ჰოკეის მოყვარულები მხოლოდ ტელეეკრანის იმედით იყვნენ.

„იააჰალიში" მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მივედით. ის იყო, სასახლეში შესვლას ვაპირებდით, რომ ავტობუსი გაჩერდა და იქიდან საბჭოთა ჰოკეისტები გადმოვიდნენ. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ისინი რაღაც იდუმალი შიშით იყვნენ შეპყრობილი. ერთმანეთს გადავხედეთ, ჰოკეისტების განწყობილება არ მოგვეწონა...

შიში გამართლდა. საბჭოთა ჰოკეისტებს ვერ ვცნობდით, ყინულის მოედანზე თითქოს სხვა გუნდი გამოეშვათ. არა და არ გამოუვიდათ მსოფლიო ჩემპიონებს თამაში. ჩეხოსლოვაკიელები კი, პირიქით, ძალიან გაბედულად, ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით უნაკლოდ მოქმედებდნენ. მატჩის გმირი იყო ვეტერანი ჰოკეისტი ვაცლავ ნედომანსკი, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კომბინაციებს. ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით წავაგეთ — 2:7.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, კვლავ უშველიდა თუ არა საბჭოთა გუნდს შვეციის ნაკრები, რომელსაც რამდენიმეჯერ უხსნია იგი ამგვარი მდგომარეობიდან, — აიღებდნენ თუ არა რევანშს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან პირველ მატჩში წაგებისთვის შვედები.

მაგრამ ამ შეხვედრამდე ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა წაიფორხილეს, ფინეთის ნაკრებთან მატჩში ახლა უკვე მათ ვეღარ ვცნობდით. ფინელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და სძლიეს ძლიერ მეტოქეს. ამ ამბავმა საბჭოთა გუნდის ქომაგები ცოტა დაგვაიმედა. მაგრამ... სარბიელზე კვლავ გამოჩნდა სადოპინგო კომისიის თავმჯდომარე, ექიმი ი. კატაია, რომელმაც საჯაროდ გამოაცხადა, რომ ჰოკეისტთა მორიგი შემოწმებისას ეფედრინის მიღება დაუმტკიცდა ფინეთის ნაკრების მეკარეს სტიგ ვეტცელს და მასპინძელი ქვეყნის გუნდს ჩეხოსლოვაკიელებთან წაგება ჩაეთვალა.

ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა. ახალი სკანდალი მთელს მსოფლიოს მოედო. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, სხვადასხვა ქვეყნის ჰოკეისტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კონგრესის მოწვევა მოითხოვეს. მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ ამას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. იმის ნაცვლად, რომ კონგრესის სხდომას დასწრებოდა და იქ წამოყენებული საკითხების გადაწყვეტისთვის ეზრუნა, აჰერნმა პრეს-კონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს უმტკიცებდა: კარგი იქნება, თუ შეიქმნება ევროპის პროფესიონალთა ლიგა, ისეთი, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაშიაო. ეს ჩემპიონატი მე მსოფლიო მასშტაბის ასპარეზობად არ მიმაჩნია, რადგან აქ ფავორიტებად ითვლებიან ერთი კონტინენტის — ევროპის მხოლოდ ოთხი სახელმწიფოს გუნდებიო, — თქვა პრეზიდენტმა.

აჰერნმა საათ-ნახევარი ილაპარაკა ევროპის პროფესიული ლიგის შექმნის აუცილებლობაზე, მაგრამ მხარდაჭერა ვერც ჟურნალისტებში პოვა.

რა აწუხებდა პრეზიდენტს, რატომ მოითხოვდა ასე დაჟინებით პროფესიული ლიგის შექმნას? ამ საკითხს ნათელი მოჰფინა ადგილობრივმა გაზეთმა „ჰელსინგინ სანომატმა". აჰერნი იმიტომ იბრძვის ევროპის პროფესიული ლიგის შექმნისთვის, რომ თვითონ არის ინგლისის პროფესიული კლუბის „ლონდონ ლაიონზის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ამ კლუბის რეკლამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებსო, — აუწყა გაზეთმა მკითხველებს.

ფინეთის ნაკრების ხელმძღვანელები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჯერ იყო და შვეციის ჰოკეისტებთან შეხვედრისას დაშავდა მათი ძირითადი მეკარე ანტი ლეპიანენი, რომელსაც ბევრი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარის სახელს უწინასწარმეტყველებდა, ახლა კი მეორე მეკარე — ვეტცელი გამოეცალათ ხელიდან, რომელსაც ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა აუკრძალეს.

... შვეციის ნაკრებმა შეასრულა ამოცანა: მეორე წრეში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. მსოფლიო ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მეორე შეხვედრას (18 აპრილი). მანამდე საბჭოთა სპორტსმენებმა ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხეს და საბრძოლველად ყოველმხრივ მომზადებული წარდგნენ მთავარი მეტოქის წინაშე. ეს მატჩი ძალიან საინტერესო იყო. ყინულის სარბიელზე ამჯერად ერთი გუნდი ბატონობდა. ეს იყო საბჭოთა ნაკრები, თუმცა ანგარიშში დიდი სხვაობა არ ყოფილა (3:1).

მოსაგები იყო ბოლო მატჩი შვედებთან და მსოფლიო ჩემპიონის სახელს სსრ კავშირის ნაკრებს ვეღარავინ შეეცილებოდა. ასეც მოხდა. საბჭოთა ჰოკეისტებმა შვეციის ნაკრები დაამარცხეს და კვლავ მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

დოპინგის გამო ატეხილი აურზაური ჯერ კიდევ არ განელებულიყო, რომ ახალი ინციდენტი მოხდა: 15 აპრილს შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩის სანახავად შინ ტელევიზორის იმედზე დარჩენილ გულშემატკივრებს ცივი წყალი გადაასხა ფინეთის ტელევიზიისა და რადიოს 350 ტექნიკურმა მუშაკმა, რომლებიც გაიფიცნენ და ჩემპიონატის ბოლომდე თავიანთი გადაწყვეტილების ერთგული დარჩნენ.

... ადგილობრივი გაზეთები აფრთხილებდნენ ასპარეზობის მონაწილე ჰოკეისტებსა და მათს მწვრთნელებს: ოკეანის გაღმიდან ჩამოსული არიან კანადა — აშშ-ს პროფესიული გუნდების „დეტროიტ რედ უინგზის", „ატლანტა ფლეიმზის", „ტორონტო მეიპლ ლიფზის", „ბუფალო სეიბრზის" და „სენტ ბლიუზის" კოლექციონერები, მათ დავალებული აქვთ გადაიბირონ ის შვედ[illegible] და ფინელი ჰოკეისტები, რომლებიც თავს გამოიჩენენო. მა[illegible]ლების მიუხედავად, [illegible]ებულმა საქმოსნებმა [illegible] სპორტსმენმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ჩემპიონატის შემდეგ ამერიკის კონტინენტზე გადაბარგება გადაწყვიტა. განსაკუთრებით უხვი იყო „ბუფალო სეიბრზის" მენეჯერის პ. იმლაჰისა და ნიუიორკელი ჰ. ბეშის ნადავლი. მათ მოისყიდეს შვეციისა და ფინეთის ნაკრები გუნდების ბევრი მოთამაშე. სახელმოხვეჭილი სპორტსმენების გადაბირება არ იკმარეს, ფინეთის იუნიორთა ნაკრებსაც დაადგეს თვალი და ჭაბუკებთან გარიგების გამართვა არ ითაკილეს.

როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე სენსაციური აღმოჩნდა ჰოკეის ისტორიაში. ასპარეზობის ორგანიზატორებმა კი უდიდესი შრომა გასწიეს, რათა ჰოკეისტებს, ჟურნალისტებს, ჩემპიონატის სტუმრებს სასიამოვნო მოგონებები და კარგი შთაბეჭდილებები წაჰყოლოდათ კოპწია, სტუმართმოყვარე ქალაქ ჰელსინკიდან, რომელსაც ფინელები სიყვარულით „ბალტიის ზღვის ქალიშვილსა" და „ჩრდილოეთის თეთრ ქალაქს" უწოდებენ.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ჰელსინკი — თბილისი.




• • •

ასეა მუდამ ჰოკეისტთა ბატალიების დროს: გუნდის წევრთა ერთი ნაწილი სარბიელზე იბრძვის, დანარჩენები მათს თამაშს აკვირდებიან, მეტოქეთა ძალას ამოწმებენ: რამდენიმე წუთის შემდეგ ხომ ისინიც ჩაებმებიან ბრძოლაში.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების წევრები მატჩის მონაწილეთა ლოჟაში. მარცხნივ დგას უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბობროვი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ჰოკეი ასახელებს უძლიერესებს

20 მაისს მოსკოვში მოეწყო სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ბობროვმა დამსწრეთ უამბო ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებისა და პირველობის მსვლელობის შესახებ. პრეზიდიუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა.

მწვრთნელთა მთავარი საბჭოს წინადადებით, დამტკიცდა სეზონის საუკეთესო მოთამაშეთა სია. უძლიერესთა ექვსეულში შევიდნენ: მეკარე ვ. ტრეტიაკი (ცსკა), მცველები ვ. ვასილიევი („დინამო", მოსკოვი) და ვ. ლუტჩენკო (ცსკა); თავდამსხმელები ბ. მიხაილოვი (ცსკა), ა. მალცევი („დინამო", მოსკოვი), ვ. ხარლამოვი (ცსკა).

34 საუკეთესო მოთამაშის სიაში შედიან: მეკარეები ვ. აფონინი („დინამო", რიგა), ვ. კორშაკევიჩი („ტრაქტორი"), ა. სიდელნიკოვი („კრილია სოვეტოვი"), ვ. ტრეტიაკი (ცსკა); მცველები ვ. ვასილიევი, ა. ფილიპოვი (ორივე — „დინამო", მოსკოვი), ა. ვოლჩენკოვი, ა. გუსევი, ვ. ლუტჩენკო, ვ. ციგანკოვი (ყველა — ცსკა), ს. გლუხოვი, ვ. კუზნეცოვი, ი. შატალოვი (ყველა — „კრილია სოვეტოვი"), ა. კულიკოვი, ი. ფიოდოროვი (ორივე — „ტორპედო", გორკი), ი. ლიაპკინი („სპარტაკი"); თავდამსხმელები ვ. ანისინი, ა. ბოდუნოვი, ს. კაპუსტინი, ю. კლიმოვი, ს. კოტოვი, ი. ლებედევი, ვ. რეპნიოვი (ყველა — „კრილია სოვეტოვი"), ვ. ვიკულოვი, ა. ვოლჩკოვი, ბ. მიხაილოვი, ვ. პეტროვი, ვ. ხარლამოვი (ყველა — ცსკა), ვ. შადრინი, ვ. შალიმოვი, ა. იაკუშევი (ყველა — „სპარტაკი"), ა. მალცევი, მ. ტიტოვი (ორივე — „დინამო", მოსკოვი), ა. გოლიკოვი („ხიმიკი").

დამტკიცდა, აგრეთვე, ქვეყნის ათი საუკეთესო მსაჯის სია: 1. ვ. დომბროვსკი (ჩელიაბინსკი), 2. ა. ზახაროვი, 3. ნ. რეზნიკოვი, 4. ვ. ნიკულცევი, 5. ვ. სოროკინი (ყველა — მოსკოვი), 6. ს. გუშჩინი (სვერდლოვსკი), 7. ი. კარანდინი (ნოვოსიბირსკი), 8. ვ. ეგოროვი (ჩელიაბინსკი), 9. ნ. მოროზოვი, 10. ა. გურიშევი (ორივე — მოსკოვი).

## მაღალი წოდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მსოფლიო ჩემპიონებს, საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების წევრებს, მცველ ი. შატალოვსა და თავდამსხმელ ი. ლებედევს (ორივე — „კრილია სოვეტოვი") სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა.

## მოღალატეხილი მწვრთნელი

შვეციის ჰოკეისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ჩ. სვენსონმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა დატოვოს ეს პოსტი. მიზეზი სავსებით გასაგებია: ძალიან ბევრი შვედი მოთამაშე წავიდა და ბევრიც აპირებს წასვლას ოკეანის გაღმა. მარტო უკანასკნელ დღეებში შვეციას კიდევ ოთხი ჰოკეისტი გამოაკლდა. ესენი არიან: თავდამსხმელები ჰედბერგი და უ. ნილსონი, მცველები შიობერგი და ტ. აბრაჰამსონი.

პირველი სამი „ვინიპეგ ჯეტსში" ითამაშებს, რომელსაც ბ. ჰალი წვრთნის, აბრაჰამსონმა კი მსოფლიოს ჰოკეის ასოციაციის მეორე კლუბთან „ნიუ ინგლენდ უელერსთან" დადო კონტრაქტი.

— ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება ყოვლად უნაყოფოა, — თქვა სვენსონმა. — ყოველ წელიწადს ახალი გუნდის შექმნა და ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის წინ მისი ხელახლა მომზადება შეუძლებელია.

შვეციის ჰოკეის ასოციაცია დათანხმდა სვენსონის გადადგომაზე და მოკლე დროში „ტრე კრუნურის" დამრიგებლის პოსტზე 5-6 კანდიდატურას განიხილავს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
„დინამო" (თბილისი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი)
30 მაისს
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს. 30 წთ.
31 მაისს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.
ბილეთები წინასწარ გაიყიდება ორგანიზაციებში დღეს და ხვალ; აბონემენტებზე — ამავე დღეებში 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში; საერთო გაყიდვა — 31 მაისს 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04607